კონკურსის პირობები:

კონკურსებში მონაწილეობა შეუძლიათ მუსიკალური ხელოვნების სფეროში მოღვაწე პირებს;

საკომპოზიტორო კონკურსში მონაწილეობა შეიძლება ნებისმიერი ჟანრის და ფორმის მუსიკალური ნაწარმოებით; ხოლო სამუსიკათმცოდნეო დარგში - ქართული მუსიკის შესახებ ბეჭდვით მედიაში გამოქვეყნებული კრიტიკულ-პუბლიცისტური წერილით ან სამეცნიერო ნაშრომით (წიგნი, სტატია, რეცენზია, ნარკვევი);

საკონკურსოდ კონკურსანტმა შესაძლებელია წარმოადგინოს არაუმეტეს ორი ნაწარმოებისა/ნაშრომისა;

საკონკურსო ნაწარმოები/ნაშრომი 2016 წელს უნდა იყოს შესრულებული/გამოქვეყნებული საქართველოში და გააჩნდეს საზოგადოებრივი რეზონანსი;

საკონკურსოდ არ დაიშვება ადრე შესრულებული/გამოქვეყნებული და 2016 წელს რედაქტირებული ნაწარმოები/ნაშრომი;

კონკურსი ტარდება ორ ტურად და გამარჯვებულებს გამოავლენს ჟიური;

კონკურსში გამარჯვებული ერთი საუკეთესო მუსიკალური ნაწარმოების ავტორს ენიჭება სამინისტროს პრემია 3 000 (სამი ათასი) ლარის ოდენობით;

კონკურსში გამარჯვებული ერთი საუკეთესო სამუსიკათმცოდნეო ნაშრომის ავტორს ენიჭება სამინისტროს პრემია 2 000 (ორი ათასი) ლარის ოდენობით.

საკონკურსო მასალების წარმოდგენის პირობები:

საკონკურსო პროექტების მიღება იწყება 2016 წლის 1 ნოემბრიდან;

საკონკურსოდ შემოტანილ მასალას უნდა ერთვოდეს წერილი მინისტრის სახელზე კონკურსის დასახელების მითითებით, მასში აღნიშნული უნდა იყოს ნაწარმოების/ნაშრომის სათაური და მისი პირველი შესრულების/გამოქვეყნების შესახებ მოკლე ინფორმაცია;

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში წარმოდგენილი უნდა იყოს საკონკურსო მუსიკალური ნაწარმოების

პარტიტურა ან კლავირი 6 ეგზემპლარად, აგრეთვე CD აუდიო/ვიდეო ჩანაწერით (Finale-ს ან Sibelius-ის პროგრამაში აკრეფილი საკონკურსო ნაწარმოების ელექტრონული ვერსია); სამუსიკათმცოდნეო კონკურსისათვის წარმოდგენილი უნდა იყოს ნაშრომი 6 ეგზემპლარად და ტექსტის ელექტრონული ვერსიის CD.
საკონკურსოდ შემოტანილი მასალა ავტორებს უკან არ უბრუნდება.
საკონკურსო მასალა (ნაწარმოები/ნაშრომი, ავტორის საკონტაქტო მონაცემები, საზოგადოებრივი გამოხმაურების ამსახველი მასალა - რეცენზიები, გადაცემები და სხვა) უნდა გამოიგზავნოს მისამართზე: ქ. თბილისი, სანაპიროს ქ. N4, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო, წარწერით კონკურსისათვის „2016 წლის საუკეთესო მუსიკალური ნაწარმოები“ ან კონკურისისათვის „2016 წლის საუკეთესო სამუსიკათმცოდნეო ნაშრომი“;
საკონკურსო მასალების წარმოდგენის ბოლო ვადაა 2016 წლის 16 ნოემბრის 17.00 საათი.

კონკურსის ჩატარების განრიგი:
საკონკურსო მასალების მიღება იწყება 2016 წლის 1 ნოემბრიდან. მასალების მიღების ბოლო ვადაა 2016 წლის 16 ნოემბრის 17 საათი;
კონკურსის „წლის საუკეთესო მუსიკალური ნაწარმოები“ I და II ტური გაიმართება 2016 წლის 24 და 25 ნოემბერს;
კონკურსის „წლის საუკეთესო სამუსიკათმცოდნეო ნაშრომი“ I და II ტური გაიმართება 2016 წლის 28 და 29 ნოემბერს;
კონკურსში გამარჯვებულთა ვინაობა გასაჯაროვდება 2016 წლის 5 დეკემბერს.